საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი, 9 ივნისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა დროებით მოთავსებულია დიდი ვანქის ქუჩაზე № 3. თვიური ხელის მოწერა თათვის გაბეთი ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 6 უოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 6

ტფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135, სადაც შეუსწავლია სამკითხველოა.

ბიურო დიაა საღამობით 5—7 სათამდე.

თბილისში მცხოვრები პარტიის უველა წევრები გაფრთხილებულნი არიან სამი დღის განმავლობაში ჩაეწერონ რაიონებში, პროვინციებიდან ჩამოსულ პარტიის წევრებს წინადადება ეძლევათ ჩაეწერონ თბილისის კომიტეტში.

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიაა დიდის 10 სათიდან ნაშუადღევის 1 სათამდე და საღამოს 4 სათიდან 7 სათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. ბ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დიდის 10 სათ.—12 სათამდე და საღამოს 5—7 სათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. პ. იურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დიაა დიდის 10 სახ. სათადან ნაშუადღევის 1 სახ. სათამდინ და საღ. 5 სახ. სათ. 7 სახ. სათ.

რა გვესაჭიროება ყველაზე უმალ!

რუს. კომ. პარტიის მეცხრე სიეზდზე (1920 წ. მარტი) ამხ. **ლენინმა** თავის მოხსენებაში „სხვათა შორის, თქვა: „და მხოლოდ იმის მეოხებით, რომ პარტია იდგა თავის ადგილზე, რომ პარტია უსასტიკესი დისციპლინის ქვეშ იყო დაყენებული და იმიტომ, რომ პარტიის ავტორიტეტი აერთებდა ყველა უწყებებს და დაწესებულებებს იმ ლოზუნგით, რომელიც მიცემული იყო ცენტრ. კომიტეტის მიერ, საბჭოთა რუსეთმა მოახდინა ის სასწაული, რომ მან სძლია გამოუთქმელ დაბრკოლებებს, რომ მან დაამარცხა შინაური კონტრ-რევოლიუცია და უკუ აქცია მსოფლიო იმპერიალიზმი შემოტევა“. ეს მეტათ მნიშვნელოვანი სიტყვები ღირსია იმის, რომ ჩვენმა ამხანაგებმა იმათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. რომ კომუნისტური პარტიის უსასტიკესმა დისციპლინამ, რომ პარტიის თავის პოსტზე დგომამ და უმაგალითო თავგანწირვამ მართლა რომ სასწაული მოახდინა, ამაში ეჭვი არავის შეაქვს.

მაგრამ საიდან გაჩნდა ასეთი დისციპლინა, ან ასეთი უმაგალითო და ჯერ არ ნახული თავგანწირვა საერთო საქმისათვის? ცხადზე უცხადესია, რომ ასეთი დისციპლინის და ასეთი თავგანწირვის შობა შეეძლო მხოლოდ პროლეტარიატს სამოქალაქო ომის ცეცხლში, როცა მისი არსებობის, მისი სიცოცხლის თუ სიკვდილის საკითხი იდგა პირდაპირ. რუსეთის პროლეტარიატმა, რუსეთის მუშათა კლასმა, რომელსაც მისი მტრები უხასიათოს, ნების ყოფას მოკლებულ ბრბოს უწოდებდენ და ახლაც იმას იმეორებენ, დღევანდელი რევოლიუციის დროს შესძლო პირდაპირ გაფოლადებული ნების ყოფის გამოჩენა. მან მოინდომა თავის მტრების დამარცხება, რათაც ეს დამარცხება მას არ უნდა დაჯდენოდა, და დაამარცხა კიდეც. ამ მტკიცე გადაწყვეტილებაში, ამ გაფოლადებული ნების ყოფის გამოჩენაშია მთელი აზრი: მუშათა კლასს შეუძლია ყველაფრის შესრულება, რასაც იგი მოისურვებს. ეს კარგათ უნდა დაიხსომონ საქართველოს მუშებმა და გლეხებმა და უწინარეს ყოვლისა ჩვენმა კომუნისტებმა, კომუნისტური პარტიის წევრებმა.

. დისციპლინა ორგვარია: ერთი გარედან ნაკარნახევი, მეორე შიგნიდან წარმოშობილი. ჩვენ მუშათა კლასს აკლდა სწორედ ეს მეორე ნაირი დისციპლინა, დისციპლინა გამოჭედილი პროლეტარიატის გაფოლადებული ნებისყოფისა. და აი ახლა ჩვენი პარტიის წინაშე დგას, სხვათა შორის, ერთი უდიდესი დანიშნულება—ასეთი შინაგანი დისციპლინის შექმნა. ეს დღეს კომუნისტური პარტიის საქმეა. პარტიამ ოღონ უნდა ძოულოს უხასიათობა, ნებისყოფის სისუსტე, პარტიული დისციპლინის დარღვევა. ის სასტიკი უნდა იყოს თუნდაც დისციპლინის უმნიშვნელო დარღვევისთვისაც კი. ის, ვინც უხასიათოა, ვინც მოკლებულია მტკიცე ნებისყოფას, ვისაც არ შეუძლია პარტიული დისციპლინის შესრულება, არ შეიძლება იყოს პარტიის წევრი. პარტიამ უნდა განავითაროს თავის წევრებში მტკიცე ნებისყოფა, პარტიული დისციპლინის გრძნობა. პარტია იგივე არმიაა, მხოლოდ შეიარაღებული არა თოფით და ზარბაზნით (თავის დროზე, რა თქმა უნდა, ამითაც), არამედ მტკიცე ნებისყოფით და შეგნებით.

პოლიტიკურ პარტიას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, გავლენა და ავტორიტეტი, როცა ის ეყრდნობა თავისი წევრების ერთხულოვან და მტკიცე ნების ყოფაზე. მთელი ჩვენი მეცადინეობა, მთელი ჩვენი ძალღონე იქით უნდა იყოს მიმართული, რომ შევქმნათ ძლიერი გავლენიანი ანუ ავტორიტეტის მქონებელი პარტია, გამტკიცებული ერთიანი პროლეტარული ნებისყოფით. მაშინ ჩვენ მივუახლოვებთ საქართველოს კომუნისტურ პარტიას რამდენიმეთ მაინც რუსეთის კომუნისტურ პარტიას, რომელმაც, დღევანდელი პროლეტარული რევოლიუციის და სამოქალაქო ომის დროს, თავისი მტკიცე ნებისყოფით და თავგანწირული ბრძოლით პირდაპირ სახწაული მოახდინა.

საქართველოს მუშათა კლასს და მის ერთად ერთ კლასიურ პარტიას, ე. ი. კომუნისტურ პარტიას, მუდამ წინ უნდა ედგას რუსეთის პროლეტარიატის ჩვენი რუსეთელ ამხანაგების მაგალითი. დეე ჩვენმა ამხანაგებმა ისწავლონ, დეე იმათ გაეცნონ იმას, თუ როგორ იბრძვიან ჩვენი რუსეთელი ამხანაგები თავის მიზნის—კომუნიზმის—განსახორციელებლათ, თუ რა თავგანწირვას, თუ რა სასტიკ დისციპლინას იჩენენ ისინი ამ უდიდეს ბრძოლაში.

ყარაული.

„ერთობა“ ლიტერატურული კამათის დროს ყარაულს ეძახის და მით გვემუქრება. ვაღვიარებთ, რომ კარგათ გვესმის ამ მძიმე საბუთის მთელი მნიშვნელობა და მისი სულ ადვილი რეალური შესაძლებლობა. მას ვერავითარ ლოდიკურ საბუთს ვერ დაუპირდაპირებ და გენიოსური აზრებითაც ვერაფერს დააკლებ.

საგულისხმოა, რომ ჩვენ არავითარი, თვით შორეული საბაბიც არ მიგვიცია იმგვარი საშუალების მოძებნისათვის, რომელიც ლიტერატურის გარეშე იმყოფება. მიუხედავათ ამისა, ეს მაინც ფაქტია, მაგრამ ისეთი ფაქტი, რომელიც ჩვენთვის სრულიათაც არ იყო მოულოდნელი. პირიქით, ამ ფაქტს ჩვენ მუდამ ვუწევთ ანგარიშს დღიდან ჩვენი გაზეთის გამოსვლისა და ვკმაყოფილდებით პრესის თავისუფლების მინიმალური შესაძლებლობით. ეს იციან ჩვენმა თანამშრომლებმა, ამას მიხვედრილი არიან ალბათ ჩვენი მკითხველებიც.

ჩვენ ვიცით, რომ შექმნილ პირობებში ჩვენი ლეგალური არსებობა საეჭვო მდგომარეობაშია. ჩვენ გზაჯვარედინზე ვდგევართ; აქედან შესაძლებელია ფართო მოქმედების დიდ გზაზე გასვლაც და შებოჭვილ არალეგალობისკენ უკუქცევაც.

რომელი გზა გახდება საბოლოოთ ჩვენი ხვედრი, ეს მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ამ მხრით ჩვენს მოქმედებას, უეჭველია, თვით მოწინააღმდეგეც ვერ აღმოაჩენს მასში ისეთ რამეს, რაც აჩქარებდეს ან ხელს უშლიდეს ჩვენი ლეგალობის წინააღმდეგ მომართულ ფაქტორების მოქმედებას.

ჩვენ კარგათ გვაქვს შეგნებული, რომ ჯერ კიდევ დიდი და მძიმე მუშაობა გვიწევს ჩვენი ლეგალობის გასამტკიცებლათ. მხოლოთ აუჩქარებელი, სისტემატიურათ წარმოებული მოქმედებით მოვიპოვებთ ჩვენ ისეთ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლებელი იქნება ასეთ „უპრაგმონო“ შემოყვირება ჩვენს მოწინააღმდეგეთაგან. ჩვენ არამც თუ თითონ არ მივსცემთ ჩვენს მოწინააღმდეგეთ რაიმე საბაბს პროვოკაციისათვის, მათ მიერ ოსტატურათ წამოსროლილ ანკესზედაც არ წამოვეგებით. ამდენი ხნის არა-ლეგალობაში ჩაკეტილნი, ჩვენ ერთ დღეს ვერ შევიქნებით ლეგალობის სრულ უფლებიანი მონაწილე. ამის მისაღწევათ საჭიროა დიდი მოთმინებით აღჭურვილი, თანდათანობითი მუშაობა, და ჩვენ შევასრულებთ ამას.

ეს რასაკვირველია, იმს არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავადგებით ლეგალობის, როგორც ასეთის, გადაჭარბებულათ შეფასების გზას. ლეგალური არსებობა ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა კერპათ და მის შესანარჩუნებლათ ჩვენ არ ვუღალატებთ არც ერთ ჩვენს პრინციპს, არ ვუღალატებთ პროლეტარიატის ინტერესებს, როგორც ეს ჩვენ გვესმის. და თუ ჩვენს გარეშე მყოფი მიზეზები და ფაქტორები შეუძლებელს გახდიან მას,—ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ შემთხვევასაც მეტი მომზადებით შევხვდეთ.

ინგლისის პროლეტარიატი და ინტერნაციონალი *)

ინგლისის შეკავშირებული მუშების წარმომადგენელთა ჩამოსვლა რუსეთში, პირველი პროლეტარული რევოლიუციის ქვეყანაში, ეს ახალი დროის დამახასიათებელი ნიშანია, რაზედაც ღირს შევჩერდეთ არა თუ მარტო სადღეისო ინტერესების თვალსაზრისით, არამედ მსოფლიო ანუ ისტორიული თვალსაზრისითაც, ვინაიდან ეს ფაქტი მაჩვენებელია იმ უღრმესი გარდატეხისა, რაც მოხდა ინგლისის მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიაში და მით მთელ მსოფლიო ისტორიაშიაც. ამასწინათ ფაბიანელთა ჟურნალმა მეორე და მესამე ინტერნაციონალზე სტატია მოათავსა, რომელშიაც [illegible] სოციალისტურ და პროფესიონალურ მოძრაობაში არასოდეს არ ასრულებდა. ეს რამდენიმეთ შედეგია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობისა და რამდენიმეთაც იმ ფაქტისა, რომ ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობა წარსულში მტკიცე და ურყევი იყო, ამასთან ჩვენი მუშების მდგომარეობა საერთოთ უკეთესი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნების მუშებისა. ინტერნაციონალურ ინტერესებისადმი ჩვენი გულგრილობა რამდენიმეთ ჩვენი ნაციონალურ-ტემპერამენტითაც აიხსნება, რაც ჩვენი მხრის გეოგრაფიულათ განმარტოვებისაგან წარმოსდგება. ინგლისის პროფესიონალური კავშირები ომის წინ მხოლოდ ტრედიუნიონების ცენტრალური ფედერაციის საშუალებით იყო მოწვეული ინტერნაციონალის მიერ. ეს იმას ნიშნავს, რომ პროფესიონალურ ინტერნაციონალს ეკუთვნის პროფესიონალურათ შეკავშირებულ მუშათა რიცხვის მხოლოდ მეოთხედი ნაწილი. მუშათა პარტიაც ისე, როგორც სხვა სოციალისტური საზოგადოებანი წევრი იყო სოციალისტური ინტერნაციონალისა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ინტერნაციონალი ისე ღრმათ არ ჩაენერგათ გულში ინგლისის მუშებს, როგორც სხვა ქვეყნებისას. ფაბიანელთა ორგანოა ქ საესეთ მისდევს თავის მასწავლებლისა და ოსტატის სიდნეი უებბის მაგალითს, [illegible] სიდნეი უებბისას, რომელიც მთელი თავისი არსებით „მეშჩანინსა“ და კონტრ-რევოლიუციონერს წარმოადგენდა და რომელიც ინგლისის მუშათა კლასის ისტორიას სისტემატიურათ აზღაპრებდა, ამ კლასის ისტორიის წიგნიდან თვით სამაგალითო ბრძოლის ფურცლებს გლეჯდა, რომ დღევანდელ ინგლისის მუშათა კლასს დაევიწყებია, რომ ივი ოდესღაც არ იყო მონა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა. ფაბიანელთა ორგანოს მტკიცება ინგლისის მუშათა მოძრაობის მხოლოდ 71 წლის შემდეგ დამდგარ ხანას მეეფერება. ეს მტკიცება იმდენათ ეწინააღმდეგება სიმართლეს, რამდენათაც ის ინგლისის მუშების წარსულ ეპოქის მოძრაობას შეეხება. ინგლისის მუშათა მოძრაობა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რევოლიუციონური ხასიათისა იყო. იგი მაშინ რეფორმების შემოღებას, კაპიტალიზმის შესწორებას კი არ ცდილობდა, არამედ მის მოსპობას ლამობდა. ამიტომაც იგი ამ დროს მართლაც ინტერნაციონალური მოძრაობათ უნდა გამხდარიყო. იბრძოდენ რა ინგლისის მუშები კაპიტალიზმისაგან თავის გასათავისუფლებლათ, მშვენიერათ ესმოდათ, რომ არ შეიძლება მყვლეფელთა საბოლოო დამარცხება ერთ რომელიმე ქვეყანაში, ვინაიდან ამ ქვეყნის გამარჯვებულ რევოლიუციას ბოლოს მაინც სხვა ქვეყნების კონტრ-რევოლიუცია ჩაახშობს; ამიტომაც ისინი 40 წლებშივე გაფაციცებით აპყრობენ თავიანთ ყურადღებას ევროპას და აღტაცებით ეგებებიან ვოველი რევოლიუციონური აქტის იქ გამოჩენას. მაგრამ იქ ამ დროს პროლეტარული მოძრაობა მხოლოდ ოდნავ იყო რევოლიუციონური. ევროპაში მაშინ ბურჟუაზიული რევოლიუციების ხანა იყო დამდგარი და ამიტომაც მეტათ საინტერესოა აღინიშნოს ის გარემოება, რომ, როგორც ინგლისის მუშათა პირველი ინტერნაციონალური ორგანიზაციის მიმართვაში, ისე ინტერნაციონალურ ასოციაციის მიმართვაშიც, ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი ერთი მხრით ევროპის ემიგრანტთა ყველა მუშურ ორგანიზაციებთან გაერთიანებას ეძებენ, ხოლო მეორე მხრით უარს არ ამბობენ იმაზე, რომ მხარი დაუჭირონ ისეთ რევოლიუციონურ მოძრაობასაც, რომელიც ფეოდალურ წყობილების აღმოფხვრისაკენ იყო მიმართული. ამისდაგვარათ მათ ინტერნაციონალიზმს ისე პროლეტარული სოლიდარობის ხასიათი არ აძევს, როგორც საერთო კაცობრიული, როგორც საერთო თავისუფლებისათვის ბრძოლის. მათი ლოზუნგი იყო: ყველა ადამიანები ძმები არიან. მაგრამ როცა კომუნისტთა საერთაშორისო კავშირი 47 წელს მარქსისა და ენგელსის კომუნისტურ მანიფესტს ღებულობს, მაშინ ამ მანიფესტის ლოზუნგი: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ჩარტისტების ინტერნაციონალურ ლოზუნგათ გადაიქცა.

48 წლის რევოლიუციის განადგურებას, სადამოუნო გადასახადების მოსპობას, კალიფორნიაში ოქროს მადნების აღმოჩენას და ინგლისის კოლონიების განვითარებას ინგლისის კაპიტალ[illegible]ს განვითარება ისეთ მაღალ წერტილამდე აჰყავს, რომ ის, შესაძლებლათ [illegible] ს მუშებს ბევრი რამ დაუთმოს; ამნაირათ ჩარტიზმი ჩაკვდა: მისი რევოლიუციონური მისწრაფება მუშებში [illegible] ელარ პოულოს. ინგლისის მუშებმა [illegible] თავიანთ კაპიტალისტებთან [illegible] გზას დაადგენ, [illegible] სხვა ქვეყნების [illegible] შების ინტერნაციონალურ სოლიდარობას ალარ საჭიროებენ. მაგრამ 60-იან წლებში, როცა ინგლისის კაპიტალისტები თავიანთი მუშებთან ბრძოლაში უცხოეთის მუშებს იშველებენ და ინგლისის მუშების ალაგას მათ ამუშავებენ, ხოლო მეორე მხრით როცა თვით ევროპის კაპიტალისტები, სარგებლობენ რა შრომის დაცვის არ არსებობით, ინგლისის ბურჟუაზიას ჭუჭყიანი კონკურენციით უმასპინძლდებიან და ამით ინგლისის მუშათა კლასის მდგომარეობას აუარესებენ, როცა დაბოლოს საფრანგეთში, ნაპოლეონ მესამის რეჟიმის შემავიწროებელ გავლენის მიუხედავათ, მუშათა მოძრაობა ძლიერდება, როცა მუშათა მოძრაობა გერმანიაშიაც იწყება, რომელსაც ლასალი მეთაურობს, მაშინ ინგლისის ტრედ-იუნიონებშიაც ხელახლავე

*) ეს წერილი გაზეთ „პრავდის“ 18 მაისის №-შია მოთავსებული მოსკოვში ინგლისის მუშათა დელეგაციის ჩამოსვლის გამო.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ

ილვიძებს ინტერნაციონალური ტენდენციები. ლონდონის პროფესიონალური კავშირების საბჭო ალლაპის, ენგელგარდის, ოჯარის მეთაურობით ინიციატივას კისრულობს შექმნას ინტერნაციონალი, რომელიც მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ტრედ-იუნიონებზე როგორც საგარეო ისე შინაური პოლიტიკაშიაც დიდ გავლენას ახდენს; ის ინგლისის მუშებს საარჩევნო უფლების გაფართოებისა და პროფესიონალურ კავშირების თავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე აყენებს და იმავე დროს, მათ მოძრაობას უკავშირებს მთელი ევროპის პროლეტარიატის, მიჰყავს ისინი ინგლისის მთავრობის მიერ ირლანდიაში წარმოებულ პოლიტიკის წინააღმდეგ და ა. შ. ინტერნაციონალის [illegible] ინგლისში [illegible] ინგლისის მუშები სხვა [illegible] ... ინტერნაციონალის დამტრის შემდეგ ინგლისში მოძრაობის ხელახალ გამოცოცხლების დროს მუშათა მასწავლებელი სხვა ქვეყნის მუშებთან დაახლოებისა სუსტდება და ამის მიზეზი ისევ ინგლისის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება არის. კაპიტალისტებმა თავი დაინახეს, რომ მუშებისა [illegible] იზრდებოდა, თავიანთ სასტიკ რეაქციაზე ხელი აიღეს, პროფესიონალურ-კავშირების დარბევას თავი ანებეს და მუშებს საარჩევნო უფლება გაუფართოვეს, მასთან სოციალური რეფორმებიც შემოიღეს; ერთი ხიტყვით მუშათა კლასის ზემონაწილენი ყველაფერით მოიყიდეს. ამერიკაში მიწახმოქმედების განვითარების გამო პურის გაიაფება, დახელოვნებული მუშების კოლონიებში-კანადაში, ამერიკაში-გადასახლება მეტად აუმჯობესებს მუშათა არისტოკრატიის ყოფა-ცხოვრებას. იგი სულ ერთიანად ივიწყებს თავის რევოლიუციონურ ტრადიციებს და ისე უკქერის რევოლიუციურ ბრძოლას, როგორც ბავშვურ ავათმყოფობას. [illegible] 81 წელს ჩარტისტული მოძრაობის ერთმა უკეთეს წარმომადგენელთაგანმა, ბარნეიმ, პრესაში მიწოდებით მიმართა ინგლისის მუშებს, რომ [illegible] ... ეს უკანასკნელი [illegible] ... ბურჟუაზიაზე [illegible] ... ბურჟუაზიას, რომლის ერთ უუძლიერესს რაზმთაგანს, თვით ინგლისის ბურჟუაზია წარმოადგენს.

კარლ რადეკი

(დასასრული იქნება)

„სოციალიზმის უდიდესი ტაქტიკოსი"

ამხანაგებს ეხსომებათ ამ დღეებში მენშევიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილი პ. ბ. აქსელროდის, ეიმართული ნ. ნ. [illegible] ეხსომებათ ალბათ ის [illegible] ... ... „აზრის ხელმძღვანელს", აკუთვნებენ ღრმა საზოგადოებრივ ინტერესს და თვით ავტორი გამოიყენებს „სოციალიზმის უდიდეს ტაქტიკოსათ".

ოქტომბრის რევოლიუციას [illegible] ... ...

პარტიული ცხოვრება

თბილისი. 3 ივნისს მოხდა მე-2 რაიონის 1 „იაჩეიკის“ კრება, რომელსაც დაესწრო 13 ამხანაგი. წვრილშანი კითხვების შემდეგ კრება შეუდგა რეგისტრაციის საკითხს. ხვათა შორის, კამათი გამოიწვია კითხვამ: საჭიროებენ პარტიის ძველი წევრები სარეგისტრაციო ფურცელში ფაფდებლის დასახელებას თუ არა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ „იაჩეიკა“ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პარტიის ძველი წევრები, რომლებიც არავითარ ეჭვს არ იწვევენ, რასაც თვით „იაჩეიკა“ არკვევს, არ უნდა საჭიროებდენ არავითარ რეკომენდაციას. ამ კითხვის საბოლოოდ გარკვევას სარეგისტრაციო კომისიიდან მოელის „იაჩეიკა“.

მეორე კითხვა შეეხებოდა ამხ. კიროვის ჩამოსვლის დღეს შეხვედრის მოწყობას. მომხსენებელმა აღნიშნა ისტორიული მნიშვნელობა რუსეთ-საქართველოს შეთანხმების, რასაც უარეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიის ძობვალი დადებითი მუშაობისათვის და გამოთქვა სურვილი, რომ თბილისის კომიტეტმა საბჭოთა რუსეთის პირველი დიპლომატიური წარმომადგენლის ამხ. კიროვის შეხვედრა მოაწყოს შესაფერად. ამ წინადადებას ამხ. მუშები აღცატებით შეხვდენ და ერთხმათ დაავალეს თავის წარმომადგენელს ამ კითხვის თბ. კომიტეტში დასმა და სასურველად გატარება.

შესამე და უკანასკნელი კითხვა შეეხებოდა თუ როგორ აღინიშნოს 15 წლის თავი ჩვენი სახელოვანის ბელადის ალექსანდრე წულუკიძის გარდაცვალებიდან, რომელიც 21 ივნისს აჩრს. მომხსენებელმა მოკლეთ დაახასიათა, თუ ვინ იყო საშა და რას წარმოადგენდა ის ჩვენი პარტიისათვის და რა უდროვო და ულვთო იყო მისი სიკვდილი... ამხ. მომხსენებლის წინადადება იყო, რომ ჩვენს „იაჩეიკას“ დაედგინა: ეთხოვოს თბილისის და ცენტრალურ კომიტეტებს ამ დღისათვის ჩვენი გაზეთი „კომუნისტი“ სპეციალურათ დაეთმოს საშას პიროვნება-მოღვაწეობის აღწერა-გარკვევას, მოთავსებულ იქმნას მისი სურათი გაზეთში და გიმართოს როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში, რაოდენადაც ეს შესაძლებელ-მოსახერხებელი იქნება ადგილობრივი ძალების საშუალებით, სამოქალაქო პანაშვიდები, რასაც კრება დიდის თანგრძნობით შეხვდა და დაავალა ამხანაგს—თბილისის კომიტეტის წევრს, კომიტეტში მისი დასმა და გატარება.

—

ხონი. პირველი ლეგალური კრება ხონის კომუნისტურ ორგანიზაციისა გიძღვნის თქვენ გულითად სალამს და პიროობას სდებს ყოველ გვარ გამოიყენოს ის გამარჯვება, რომელიც შედგია პარტიის მიერ გაღებულ დაუზარავი შრომისა და უამრავ მსხვერპლისა.

ოფიციალური ცნობა

შავიზღვის პირის განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლობისა.

შ. გ. კ. წარმომადგენლობამ მოსკოვში გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ჩიჩერინს და შავი ზღვის პირის განთავისუფლების თავმჯდომარეს გაუგზავნა შემდეგი რადიო:

ნორვეგიის გემი „ბეგნა“, შავიზღვის პირის თამბაქოთი დატვირთული ბათუმიდან ლონდონს გაემგზავრა 23-ს მაისს, კონსულამენტი კომიტეტის 2501 ფუთ თამბაქოზე, რომელიც უბრუნველყოფილია შავიზღვის პირის განთავისუფლების კომიტეტისა და სოჭის თვითმართველობის მიერ გამოშვებული ბრნეებით, რაც საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის არის დანიშნული, ჩაბარებული აქვს გენერალ ოსტროუხოვს.

შ. გ. კ. წარმომადგენლობა, იცავს რა შავიზღვის პირის მცხოვრებთა ინტერესებს, რომელთაც უკანასკნელი საშუალებაც წაერთვათ, რომ შიიღონ პური და საფთიაქო საქონელი საქონლის გაცვლა-გამოცვლის წესით, საქმე ლონდონის სასამართლოში და ინგლისის პარლამენტში გადაიქეს. საჭიროა საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარება.

თბილისი 1920 წლის 5 მაისს.

საგარეო რუსეთში

ყაზანები პოლონელ ბატონების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქ. ტაგანროგში წითელ არმიის მხარეზე გადასულ ყაზახების მიტინგი გაიმართა, რომელზედაც ისინი აცხადებდენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ დაიცვან საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკა და მზათ არიან დაუყოვნებლივ ჩადგენ წითელ არმიის რაზმებში, რომ პოლონელ ბატონებს მუსრი გაავლონ.

ახალგაზდობა პოლონეთის ფრონტზე.

ქ. ბრიანსკში ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირმა თვით-მობილიზაცია გამოაცხადა და პოლონელ ბატონების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ახალი ძლიერი რაზმი შეადგინა. პეტროგრადის ახალგაზრდობამ იმავე ფრონტზე თავისი საუკეთესო ამხანაგები გაგზავნა.

პოლონეთის ფრონტზე.

პოლონეთის ბატონებთან ბრძოლის შესახებ გაზეთ „ბრაუდაში“ ამხ. ბუხარინი თავის სტატიაში „მეცხრე ტალღაში“ სწერს: „საბჭოთა რუსეთი კვლავ განსაცდელში იმყოფება. დასალუბათ განწიოულთ ბურჟუაზია ყოველ ღონეს ხმარობს მის წინააღმდეგ; ბრძოლა დასავლეთის ფრონტზე სულ უფრო და უფრო მძიმე და მეტად ხდება. პოლონეთის თეთგვარდიელები, რომელთაც ბორისოვი სულ ერთიანათ მიწასთან გაასწორეს, ახლა მთელ თავის სათადარიგო ძალებს ეყავს ეურეს და ჩვენთან ბრძოლაში აბამს, თითქმის ის ნაწილებიც კი ჩვენ წინაღმდეგ მოყავს, რომლებიც დღემდე გერმანიის საზღვრებზე იდგენ. იმავე დროს კეთილშობილი ლორდ კერზონის ინგლისელი დიპლომატები, რომლებიც ჩვენ გულმოწყალეობას მიმართავდენ და მისი ბრწყინვალება ბარონ ვრანგელის ჯარებს თხოულობდენ, ნამდვილათ პროვოკაციულათ დახმარაბას აძლევდენ ხსენებულ ბარონს, რომ მას თავისი ლაშქრის რეორგანიზაცია მოეხდინა და ნაბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ახალი შეტევა დაეწყო. ბ. ბარონმა უკვე დაიწყო ახალი შეტევა ისეთ პირობებში, რომ საბჭოთა რუსეთის საქმეებში კვლავ ჩაერია საერთაშორისო კაპიტალი: „ინტერვენცია“ კვლავ მეორდება. აი რატომაა, რომ რუსეთის ყველა მშრომელთა მასის წინაშე წარმოსდგა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით კითხვა კაპიტალისტური მტაცებლების შემუსვრისა. პოლონელი მებატონეთა ეშმარიტი რუსი ბარონი, ფრანგი მონათმფლობელი და ინგლისელი ვაჭარი, ყველა ესენი კონტრ-რევოლიუციის ერთ „მცირე ტალღაზე“ შეერთდენ და გულით სწყურიათ წარხოცონ დედამიწის პირიდან საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ბრძოლის ასეა თუ ისე დასრულებაზეა დამყარებული მთელი მსოფლიოს ბედი და რუსეთის ბედიც. ძველსა და ახალს შორის ბრძოლა, კვლავ თავისი ბუმბერაზობით წარმოსდგა წინ! ამიტომ ჩვენ უნდა მოვახდინოთ ყველა იმ ძალების მობილიზაცია, რომლებიც კი ჩვენს განკარგულებაში იმყოფება“.

საზღვარ გარეთ

გაფიცვა იაპონიაში.

იაპონიის დედა ქალაქში, ტოკიოში, დაახლოვებით ამ ორი კვირის წინათ ტრამვაის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გამართეს რამდენიმე სასწრაფო მიტინგი, რომელზედაც ორატორები გაფიცულთ მოუწოდებდენ, რომ მათ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში თავიანთი მოთხოვნებიდან არაფერი არ დაეთმოთ. პოლიციამ 47-მდე მეთაური დაატყვევა, რომელთაც მშვიდობიანობის დარღვევაში სდებენ ბრალს. ტრამვაის 100-მდე მოსამსახურე ადგილიდან დაითხოვეს. ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. მთავრობა სულ უფრო და უფრო მეტათ სასტიკ ზომებს ღებულობს გაფიცულების საწინააღმდეგოთ. პოლიცია გაფიცულთა კრებებს ძალით ფანტავს, მაგრამ მუშები მას დიდ წინააღმდეგობას უწევენ.

ბანკების მოსამსახურეთა გაფიცვები იტალიაში.

კონსტანტინოპოლის გაზეთი „სტამბული“ იუწყება, რომ რომსა და იტალიის სხ. შრავალ ქალაქებში ბანკების მოსამსახურეებმა 11 აპრილიდან გაფიცვა გამოაცხადეს.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის დაწყება საბჭოთა რუსეთთან.

„ჰუმანიტე“ სწერს, რომ ოდესიდან გაგზავნილი გემები „ემმა“ და „კონსტანტინოპოლი“ უკვე მივიდენ გენუაში, ხორბლითა და მატყლით დატვირთული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციებს და წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო! „კომუნისტი“ გამოდის „ბრძოლის“ მაგიერ. როგორც „ბრძოლა“, ისე „კომუნისტიც“ მუშების და გლეხების გაზეთია; იგი დაიცავს მოელი მშრომელი მასსის ყმენ და დაჩაგრულთა და შეეიწროებულთა ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორგანო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა ასაზრდოონ, თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა მისცენ მას არსებობის საშუალებანი.

ამხანაგებო მუშებო და გლეხებო! დამფუძნეთ თქვენი არსებითი ინტერესების დამცველ გაზეთს „კომუნისტს“ ნივთიერი და ზნეობრივი დახმარეთ. მიიღეთ ე�ვედგვარი ზომები მის გასავრცელებლათ ყველა მასსაში, გამართეთ ხელის მოწერა მის სასარგებლოთ. ამიათ თქვენ უზრუნველ ეოფთ მის არსებობას.

საქართვ. კომუნისტ. ორგანიზაციების დროებ. ცენტრალური კომიტეტი.

ბულგარეთი. რუმინიის გაზეთები იუწყებიან, რომ სოფიაში წინანდელი პარლამენტის ზოგიერთი დეპუტატები მიცემულია პასუხის გებაში. მხ. ბრალდება რევოლიუციონური პროპაგანდა, ვინაიდან მათი მანიფესტი მოუწოდებდა აჯანყებისაკენ მთავრობის დასამხობათ.

ბელა-კუნის მოკვლის განზრახვა.

5 აპრილს განზრახული იყო ვენგრიის საბჭოთა მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ბელა-კუნი სიცოცხლეს გამოესალმებიათ. ამ მიზნით სამი ვენგრიელი მივიდა შტეინგოფის სანატორიუმში, სადაც დატყვევებულია ბელა კუნი და დარაჯის ხელით შეუგზავნეს მას ყამფეტები, რომლებიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ნამდვილათ ანტროპინის ნაჭრები იყო. ერთი ბოროტგამზრახველთაგანი დაატუსაღეს.

ინგლისი. ბრიტანიის სოციალისტური პარტიის სიეზდზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ აუცილებლათ საჭიროა პარტიის პროგრამა და ტაქტიკა შეეთანხმოს აქტივურ რევოლიუციონურ გამოსვლებს. დადგენილ იქნა ყოველი ზომები იქნას მიღებული ყველა სოციალისტური ჯგუფების გასაერთიანებლათ კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ. სიეზდის თავმჯდომარემ, ქალაქის თავმა ვაგანმა თავის მისალმების სიტყვაში შემდეგი სთქვა: „ჩვენ ჯერჯერობით ლეგალურათ ვმოქმედობთ, მაგრამ როდესაც დადგება კრიტიკული მომენტი, ჩვენ არ შევჩერდებით არა-ლეგალური მოქმედების წინ. ხოდგსონმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ჩვენ შეიარაღებულ კლასთა ბრძოლის ეპოქაში შევდივართ. მუშები უნდა შეიარაღდენ. ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ რევოლიუციონური შეტაკებისათვის“

ერთხმათ მიღებულია რეზოლიუცია პარლამენტარული ბრძოლის ნაცვლათ პირდაპირ მასიურ შეიარაღებული ბრძოლის წარმოების შესახებ.

ახალი ამბები

— ჩოხატაურიდან გვაცნობეს, რომ იქ ამ დღეებში შემდგარა ახალგაზრდა კომუნისტთა ორგანიზაცია. ორგანიზაციაში ჯერ-ჯერობით აწერილა 50 წევრი. წევრების უმეტესობას შეადგენს ადგილობრივი გიმნაზიის მოწაფეები. ახალგაზრდა კომუნისტების ცენ. კომ. უკვე აღადგინა მათთან კავშირი.

— **სახალხო სახლი.** დღეს. 9 ივნისს სახალხო სახლის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება შილერის ცნობილი ტრაგედია „ყაჩაღები“. მთავარ როლს კარლოსას შეასრულებს მსახიობი ალ. იმედაშვილი. ადგილების ფასები სახალხოა. დასაწყისი 8 საათზე.

— ალექსანდროპოლის ციხიდან პოლიტიკური ტუსაღები გვატყობინებენ, რომ იქ უკანასკნელ გამოსვლების დროს დაპატიმრებულნი, მუსელიანი, მუშა სევიანი და მასწავლებელი გარიბდუნიანი ციხიდან გაიყვანეს და არ იციან სად არის. ხმებია, მათი დახვრეტის შესახებ. აგრეთვე მტკიცდება ის, რომ ვრეგნის მახლობლად მხეცურად მოკლეს ექიმი არტაშეს მელკონიანი, მასწავლებელი სარუხანიანი და კიდევ 9 სხვა ამხანაგები.

— პარასკევს, 11 ივნისს, ვოგზლის იქითა რაიონის შენობაში (ჩერქეზოეის ქ. № 101. სახლი ბოტესი) დანიშნულია საქართველოს მემარცხენე სოციალ.-რევოლიუციონერთა პარტიის ქალაქის საერთო კონფერენცია. თბილისის კომიტეტი მემარ. სოციალ-რევოლ. პარტიისა მოუწოდებს თბილისში მცხოვრებ პარტიის ყველა წევრი აუცილებლათ დაესწრონ კონფერენციას.

— **შრომის სამინისტრო და ამერიკის კომიტეტი** შრომის სასინისტრომ შეატყობინა ახლო აღმოსავლეთში ამერიკის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენელს, რომ სამინისტროში შემოვიდა საჩივრები მატარებელზე მოსამსახურეთა, სადაც ისინი სჩივიან, რომ კომიტეტმა დაითხოვა რა მოსამსახურეები, მათ სათანადო სალიკვიდაციო ჯილდო არ მისცა. ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან არ იცის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა ამ დარგში და სურვილი გამოსთქვა დააკმაყოფილოს სამსახურიდან დათხოვნილი შრომის სამინისტროს ჩვენებით. შრომის სამინისტროს კომიტეტის წარმომადგენელი გააცნობს საქართველოში არსებულ შრომის დაცვის კანონებს.

— **შრომის პირობების გაუმჯობესება.** „ჩემოს“ ადმინისტრაციის წარმომადგენელმა შრომის მინ. ამხანაგის წინადადებას ფოთში მარგანეცის გადამზიდველ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ უპასუხა, რომ ადმინისტრაცია მზად არის დაუყონებლივ შეუდგეს შრომის სამინისტროს მიერ აღნიშნულ საჭირო გაუმჯობესებათ, ე. ი. გახსნას აბანოები, აშენოს ბარაკები, შეაკეთოს ფოთის მუშათა სახლი, გააფიდოს თანხა გადამზიდველთა სამკურნალოდ და დასახმარებლად, დაბოლოს გააუმჯობესოს შრომის ტეხნიკური პირობები.

დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

ნიკოლაევი. თბილისი, საქართველოს სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ გეგეჭკორს.

საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო დამოკიდებულობის აღდგენის გამო უკრაინის სოციალისტური საბჭოთა მთავრობა ფიქრობს, რომ მისსა და საქართველოს სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკის შორის ნორმალურ დამოკიდებულების დამყარება ორივე ქვეყნის ხალხის ინტერესებისათვის ფრიად სასურველი იქნება. თუმცა აქამდის საბჭოთა უკრაინასა და საქართველოს შორის ოფიციალური დამოკიდებულება არ არსებობდა, მაგრამ მუშათა და გლეხთა მთავრობა მფარველობაზე უარს არ ეუბნებოდა ქართველ მოქალაქეებს. მან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო ექვს ქართველ ექიმს, რომელთაც ხარკოვის საექიმო ფაკულტეტი დაასრულეს და აგრეთვე საქმიან დამოკიდებულობას განაგრძობდა უკრაინაში მყოფ საქართველოს ყოფილ კონსულებთან. მიუხედავათ ამისა ჩვენდა სამწუხაროთ ჩვენ იძულებული ვიქნებით შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა საჭიროთ არ ჩასთვლის მოაწესრიგოს უკრაინასთან თავისი დამოკიდებულება და ამ მიზნით საჭირო საზავო მოლაპარაკებას არ დაიწყებს. ვფიქრობ, რა რომ ორივე ეკონომიურ ინტერესებით შეკავშირებულ სახელმწიფოს შორის მეგობრულ დამოკიდებულობის აღდგენის წინაალმდეგ არავითარი სერიოზული მიზეზი არ იქნება საქართველოს მთავრობის მხრით წამოყენებული, უკრაინის მუშათა და გლეხთა ზთავრობის სახელით წინადადებას ვაძლევ საქართველოს მთავრობას საზავო მოხალაპარაკებლად თავისი დელეგატი დაასახელოს. საზავო მოლაპარაკების ადგილათ უკრაინის მთავრობა ასახელებს ქ. ხარკოვს. 28 მაისი 1920 წ. უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი რაკოვსკი.

„პტი პარიზიენის“ ლონდონის კორესპონდენტი გადმოგვცემს: ორშაბათს კრასინისა და ლოიდ ჯორჯის მოლაპარაკების დროს კრასინმა განაცხადა, რომ მოსკოვის მთავრობა თანახმაა მოლაპარაკება აწარმოოს ინგლისის ტყვეების შესახებ და რომ იგი აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესების ხელის შეშლას აღ[illegible] ფიქრობსო. დეპეშა უმატებს: მილიერ[illegible] ნამდვილი ცნობები მიაწოდა საფრან[illegible] თის ეკონომიურ წარმომადგენელ[illegible] ღ[illegible] დაავალა, არ შეუერთდეს [illegible] [illegible] დაწყვეტილებას, რომელიც [illegible] [illegible] გებულ იქმნას, [illegible] პირდაპირ [illegible].

მუშათა ცხოვრება

ქ. თბილისის სავაჭრო სამრეწველო მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი.

ქ. თბილისის 3374 საწარმოო დაწესებულებებიდან 2734 სრულიად არ სარგებლობს დაქირავებულ შრომით და მხოლოდ 640 ყავთ მოსამსახურეები.

უმრავლეს საწარმოვო დაწესებულებებს ყავს 1—3-მდე მოსამსახურე, მსხვილი საწარმოვო დაწესებულებები 10-ზე მეტ მოსამსახურეებით შეადგენს 1 პროც.

სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა რიცხვი უდრის 1500 კაცს.

კავშირის წევრების რიცხვი უდრის—806 კაცს.

ანკეტის თანახმად—1450 სულს ამათგან 695 კავშირის წევრი შეადგენს და 715 არა წევრი.

ამათგან კოოპერატივების მოსამსახურეები 325 ს. (244 კავშირის წევრი და 81 არა წევრი).

მუშათა დაზღვევა.

საერთო ქალაქის საავადმყოფო კასაში სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეები არ იღებენ მონაწილეობას.

კოოპერატივების მოსამსახურეებს აქვთ საქმიო დახმარებისთვის საკუთარი ფონდი, რომელიც ივსება ჯამაგირიდან 3 პროც. გადახდებით.

კავკასიის სააფთიაქო ამხანაგობის მოსამსახურეებს აქვთ საკუთარი საურთიერთო დახმარების კასა.

წლოვანობის მიხედვით მოსამსახურეები შემდეგ ნაირად ნაწილდებიან:

13 წლამდე	4,6	პროც.
13—17 წლამდე	14,6	პროც.
18—20 „	13	პროც.
21—50 „	60	პროც.
50 და მეტი	7,3	პროც.

საშუალო ხელფასის რაოდენობა.

კოოპერატივებში მამა-კაცები 3849—დედა-კაცები 2098; მსხვილ კერძო საწარმოოში მამა-კაცები 3381—დედა-კაცები 2588; წვრილ კერძო საწარმოვოში მამა-კაცები 1809—დედაკაცები 1243.

28 პროც. „ნატურით“ იღებს ჯამაგირს და 6 პროც. ამათგანი სრულებით უჯამაგიროა, დამქირავებლების „ხარჯზე“ ცხოვრობენ.

შრომის დაცვა.

სამუშაო დღე სისტემატიურათ გრძელდება—უმეტესად მცირეწლოვანთათვის. მცირეწლოვანთა 17 წლამდე მხოლოდ 7,4 პროც. 6 საათი მუშაობს. 77.6 პროც. მუშაობს 6-დან 10 საათამდე და 15 პროც. 10 საათზე მეტს მუშაობს.

ადგილზე მიღება.

მოსამსახურეთა ადგილზე მიღება კავშირის გარეშე სწარმოებს. უმუშევრები კავშირში არ ეწერებიან. რადგან საწარმოვო დაწესებულებათა პატრონები ბირჟას არ მიმართავენ, მიღება მსახურთა სწარმოებს ბირჟის გარეშე.

კავშირში ირიცხებოდა

1917 წ.	—2300	კაცი
1918 წ.	—1639	„
1919 წ.	—806	„

—

მეტყავეთა პროფესიონალურ კავშირში.

ერთობის №-121 2 ივნისის რიცხვი[illegible] მოთავსებულია წერილი მეტყავეთა კავ[illegible]შირის შესახებ. წერილი იწყება ეს[illegible] „ამა წლის 14 მაისს, საღამოს [illegible] საათზე მეტყავეთა შეერთებული საქ[illegible]ხნო კომიტეტების ინიციატივით მ[illegible]ვეული იქნა ტყავის მუშების და ტყა[illegible]ულობაზე მომუშავე[illegible] კრება“. ამ [illegible]ბას, ავტორის სიტ[illegible], დასწრებია 2[illegible] კაცი. ეს წერილი თავიდან ბოლომდე სიცრუეა. კრება არ იყო მოწვეული საქარხნო კომიტეტების მიერ. ყველა საქარხნო კომიტეტები მეტყავეთა კავშირთან სრული შეთანხმებით მუშაობენ.

საზოგადო კრებას იწვევს კავშირის გამგეობა, თუ საქარხნო კომიტეტებს სურთ საზოგადო კრების მოწვევა, ამას აგებინებენ გამგეობას.

ჩვენ შეკითხვაზე საზოგადო კრების შესახებ საქარხნო კომიტეტებმა გვიპა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუხეს. რომ არავითარ საერთო კრებას ისინი არ მოიწვევენ გამგეობის დაუკითხავათ. იქ დამსწრეთა რიცხვი შეადგენდა არა 247 კაცს, არამედ მხოლოდ 50 კაცს. ისიც უმრავლესობა არა წევრები იყვენ. ეს ფაქტია და ამას კრებაზე დამსწრენი მუშებიც არ უარყოფენ. ერთმა იქ მყოფმა მუშამ კიდეც განაცხადა, რომ „ასეთ მცირე რიცხოვან კრებას არ შეუძლია გამგეობის არჩევაო,“ მეორე მუშა კოჭლამაზიშვილი ამბობს: „ჩვენ გვინდა ერთად შეკავშირებულათ ყოფნა, ჩვენ არ გვინდა ცალ-ცალკე არსებობა, ეს მაენებელიაო“.

გასაკვირველია, როგორ თვლის ასეთი მცირერიცხოვანი კრება თავის თავს კანონიერათ, როცა კავშირში ირიცხება ორი ათასზე მეტი წევრი.

„ერთობაში“ მოყვანილ წერილში აღნიშნულია აგრეთვე, თითქოს მეტყავეთა კავშირი ვერ იცავდა მუშების ეკონომიურ ინტერესებს, და მათი დიდი ნაწილი ჩამოშორებოდეს კავშირს.

თითქოს ყოფილიყო, რომ დაბლებში მომუშავენი ულიკვიდაციოდ, სრულიად უმიზეზოდ დაეთხოვათ და კავშირს ყურადღება არ მიექციოს. თითქოს კავშირის ფული იხარჯებოდა პროკლამაციების გამოშვებაზე, მეტყავეთა კავშირი გამოყოფოდეს საქართველოს მუშათა კლასს და დაეწყოს მის საწინააღმდეგო ბრძოლა.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ მეტყავეთა კავშირი, დღიდან თავის დაარსებისა ენერგიულათ იცავდა მუშების ინტერესებს.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ მუშა უკმაყოფილო ყოფილიყოს მეტყავეთა კავშირის მოქმედებით.

არც ერთი განცხადება არ შემოსულა არც ერთ მუშისაგან კავშირით უკმაყოფილებაზე.

მეტყავეთა კავშირის წევრები არმცთუ არ დაქსაქსულან და არ ჩამოშორებულან კავშირს, არამედ ყოველ თვე იწერება კავშირში ახალ წევრებად 100—150 კაცი.

კავშირს არავითარი ფული არ დაუხარჯვია პროკლამაციის გამოშვებაზე. ეს გამოგონილია მის მტრების მიერ.

კავშირი თავის ფულებს ხარჯავს მუშების კულტურულ და ეკონომიურ მხარეების გასაუმჯობესებლად. კავშირს აქვს თავის ხარჯთ-აღრიცხვა და ყოველ მუშას შეუძლია დაინახოს, თუ რაში იხარჯებოდა და იხარჯება კავშირის ფული.

რაც შეეხება მეტყავეთა კავშირის გამოყოფას საქართველოს მუშათა კლასიდან და მის წინააღმდეგ ბრძოლას, ეს ხომ აშკარა ტყუილია. პირიქით, მეტყავეთა კავშირი იდგა ყოველთვის კლასიურ ნიადაგზე, ებრძოდა ბურჟუაზიის დაუკმაყოფილებელ მადას და გამოდიოდა ყოველთვის მუშათა დამცველის როლში. მართალია, კავშირს აქვს ზოგიერთი დეფეკტები, მაგრამ ამის მიზეზი არა ნორმალური პირობებია.

კავშირის მუშაობას დიდათ ხელს უშლიდა გამგეობის წევრების და მისი მდივნების სისტემატიური დევნა. არ გავიდოდა კვირა, არ გავიდოდა თვე, რომ არ დაეტუსაღებიათ ან კავშირის გამგეობის წევრი, ან მდივანი.

ორჯერ დაატუსაღეს მეტყავეთა კავშირის მთელი გამგეობა.

ასეთ �ეს მოიწვიეს ერთხელ საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო კავშირის წევრების უმცირესობა. უნდოდათ ცალკე კავშირი დაეარსებიათ და ამ კრებაზე აერჩიათ გამგეობა. ამ კრებას შემთხვევით დაესწრო ერთი გამგეობის წევრი და აუხსნა კრებას, თუ რაში იყო საქმე. კრებამ ნდობა გამოუცხადა კავშირს და ძველი გამგეობის წევრები კი, რომელნიც ციხეში ისხდენ, აირჩიეს საპატიო წევრებათ.

უკანასკნელათ, აპრილის უკანასკნელ და მაისის პირველ რიცხვებში დაატუსაღეს კავშირის სამი მდივანი და რამოდენიმე გამგეობის წევრი.

აი ასეთ დროს გზავნიდენ სეკრეტარიატიდან კაცებს და გვეუბნებოდენ, რომ სარევიზიო კომისიას სურს რევიზია გაუკეთოს თქვენს კავშირსო.

ის მდივნები, რომელთაც უნდა მიეცათ მათთვის კავშირის ანგარიში, მეტეხში ისხდენ და თვითონაც კარგათ იცოდენ, რომ ასეთ პირობებში ანგარიშის მიცემაზე ლაპარაკი ზედ მეტი იყო.

ჩვენ მოლარეს მოსთხოვეს კავშირის ფულების ჩაბარება და, როდესაც მან უარი განაცხადა, უთხრეს: „არა უშავს, უთქვენოთაც ჩავიგდებ ხელშიო“. იმუქრებოდენ კავშირის ყველა წევრების დაჭერით.

მათი ხელის შემშლელი მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად ჩვენი კავშირი ახდევინებდა სახელოსნოების მწარმოებლებს 5 პროც. საავათმყოფო კასისთვის. ისინი მოდიოდენ და ეუბნებოდენ მხოლოთ 2 ნახ. პროც. ნახევარი გადაიხადეთ საავათმყოფო კასისთვისო.

სირაძის მუშები ძალით შეუერთეს ქალაქის საავათმყოფო კასას.

ამნაირი ზომებით სურდათ ძირი გამოეთხარათ მეტყავეთა კავშირის საავათმყოფო კასის საქმისთვის და ამღვრეულ წყალში თევზები ეჭირა.

ასეთ პირობებში უხთებოდა მეტყავეთა კავშირს მუშაობა.

ახლა, სულ მოკლე ხანში, მეტყავეთა კავშირის გამგეობა იწვევს საზოგადო კრებას. ის წარუდგენს მას ანგარიშს თავის მოქმედებაზე და ყველა დაინახავს, თუ რის გაკეთება შესძლო ამ კავშირმა.

50 კაცისგან ამორჩეულ „გამგეობას“ არა აქვს არავითარი უფლება თავის თავის გამგეობათ წოდებისა, იმ დროს როცა კავშირში ირიცხება 2000-ზე მეტი წევრი.

ანტისემიტიზმი და მხეცობა

ამხანაგმა რაკოვსკიმ ორ მაისს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პატეკს შემდეგი რადიო-ტელეგრამა გაუგზავნა:

ტყვეობიდან გამოქცეული წითელი ჯარის კაცები გვაცნობებენ, რომ პოლონელი აფიცრები ხვრეტენ კომუნისტებს და პირველ ყოვლისა ნადირობენ ებრაელებზე და მათ აწამებენ. ტყვე წითელ ჯარის კაცებს კი აგზავნიან დასაკლეთსკენ იძულებით სამუშაოზე. ეს ცნობები პოლონელ სარდლობის მხეცობაზე ტყვე წითელ ჯარისკაცებისადმი სამწუხაროდ მტკიცდება, რომელიც წინათაც გვაცნობეს და რომელიც დღემდის არ გამოგვიაშკარავებია, რადგან არ გვსურდა ვაგვემწვავებია ისედაც შექმნილი ცუდი დამოკიდებულება პოლონეთსა და უკრაინას შორის. და რადგან დღეს ყოველივე მშვიდობიანი გზა მოსპობილია და პოლონეთის შემოსევა გვაიძულებს ავიღოთ იარაღი უკრაინის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დასაცველად, ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს მთელი ქვეყნის საყურადღებოთ პოლონელ სარდლობის მოქმედების წინააღმდეგ.

თუმცა ღა პოლონეთის მთავრობა არ კარგავს შემთხვევას გამოვიდეს ცივილიზაციის დამცველთა როლში ბოლშევიკების წინააღმდეგ, ჩვენ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მხეცური დახოცვა რუსეთის წითელ ჯარის მისიის წევრებისა, ვასილევსკისა და სხვების.

და აგრეთვე არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ის, რომ პოლონეთის ოფიცრების ასეთი საზიზღარი მოქმედება გაამართლა პოლონეთის სასამართლომ. ჩვენ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რომ ანტისემიტიზმი ჩვეულებაა პოლონეთის სახელმწიფოსი, რომ ორი წლის განმავლობაში ახალი თუ ძველი პოლონეთის ტერიტორია გახდა განუწყვეტლივ ებრაელთა დარბევის ასპარეზათ.

ჩვენ იძულებული ვართ მივაქციოთ სერიოზული ყურადღება პოლონეთის მთავრობას ასეთი მხეცობის მოსპობის შესახებ ჩვენ ტყვე წითელ არმიელებისადმი.

უკიდურეს შემთხვევაში საბჭოთა უკრაინის მთავრობა პასუხს არ აგებს იმ იმ მძევლებზე, რომელიც მას ყავს წამოყვანილი პოლონელ ბურჟუაზიის წრეებიდან.

საბჭო მთავრობა სრულ უფლებას ხდის ამ პასუხის მგებელს პოლონეთის ყველა კლასებს კაპიტალისტ-მემამულეებს მოქმედებისათვის.

თავმჯდომარე უკრაინის კომისარიატის და სახალხო საგარეო კომისარი უკრაინის **რაკოვსკი.**

წერილი რედაქციის მიმართ

სალამი „კომუნისტს“.

ჩვენ რიცხვით 30 40 ტუსაღნი თელისის № 1 საგუბერნიო საპყრობილეს გამოურკვეველ მდგომარეობაში მყოფნ. სალამს ვუძღვნით საქართველოს მუშებს და გლეხების ნამდვილ ინტერესებს დამცველ გაზეთს „კომუნისტს“. „კომუნისტის“ პირველი გადადგმული ნაბიჯი მაჩვენებელი იყოს ყველა საქართველოს მუშების და გლეხების, რომ ის დგას თავის სიმაღლეზე. და არ გადაუხვევს ნაცად გზას. დეე დაანახოს „კომუნისტმა“ ყველას, რომ იქ ნამდვილი ინტერესების დამცველია მუშების და გლეხების არა მარტოდ წერით და სიტყვით, არამედ საქმითაც.

გაუმარჯოს „კომუნისტს“ და მის იდეურ მესვეურთ.

ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს „კომუნისტის“ სასარგებლოთ გაახლებთ დღეებში.

ამხანაგი.

—

მხურვალე სალამი გაზეთ „კომუნისტს“ ვუსურვებთ მას გამარჯვებას. გაუმარჯოს იმათაც, ვინც მას იდეიურად ხელმძღვანელობს და უძღვება.

გაზეთმა კომუნისტმა მთელი ენერგიით ძლიერი საძირკველი უნდა ჩაუყაროს მუშათა ხალხის ინტერესების დაცვას საქართველოში. ვინც შეგნებულად უფიქრდება ადამიანის ცხოვრებას ყველა მუშა, ვინც წინააღმდეგია უსირცხვილო მუქთა ხორა ხალხისა, მთელი თავისი აზრებით შეუერთდება გაზეთ „კომუნისტის“ იდეიას.

გურული გლეხი—ი. ბ.

კომუნისტური ინტერნაციონალის წარმოშობა.

როგორც პირველი, ისე მეორის ინტერნაციონალის საერთაშორისო სიეზდებს არა ერთხელ გამოუტანიათ დადგენილება ომის წინააღმდეგ და ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების მოალოდნეობათ დაუსახავთ ბრძოლა წინააღმდეგ ევროპიული ბურჟუაზიისა, რომელიც ცდილობდა გამოეწვია შეტაკება „ავჭრო- სამრეწველო მეტოქეობის საფეხურების გადასაწყვეტათ. 1912 წლის ოქტომბერში, როდესაც ომის საშიშროება ბალკანეთს ემუქრებოდა, სხვადასხვა სოციალისტურმა პარტიებმა გამოსცეს ომის საწინააღმდეგო მოწოდებები. როდესაც, წინააღმდეგ ამისა, ომი მაინც გაჩაღდა, ბაზელში შეიკრიბა საგანგებოთ მოწვეული საერთაშორისო სოციალისტური სიეზდი, რომელმაც მანიფესტი გამოსცა ომის წინააღმდეგ და დადასტურა შტუტგარტის და კოპენგაგენის სიეზდების დადგენილება, რომელშიაც სხვათა შორის შემდეგი იყო ნათქვამი: „თუ, მიუხედავათ ამისა, ომმა მაინც იფეთქა, ისინი (ე. ი. მუშათა კლასი და მისი წარმომადგენლები პარლამენტში) ვალდებული არიან დაუყოვნებლივ ჩაერიონ საქმეში, რომ მაშინვე შესწყვიტონ იგი და მთელი ძალღონით გამოიყენონ ომით შექმნილი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი, რათა ფეხზე დააყენონ ხალხის სულ უფრო დაბლა მდგომი ნაწილები და დააჩქარონ კაპიტალის ბატონობის დაცემა“.

როდესაც ავსტრიის ტახტის მემკვიდრის მოკვლის გამო ურთიერთობა ავსტრიასა და სერბიას შორის გართულდა, ევროპის პროლეტარიატის წინ კვლავ წამოგდა საკითხი, თუ როგორ უნდა უყურებდეს ის ომს. საერთაშორისო სოციალისტური ბიუროს სხდომაზე, რომელიც მოხდა ბრიუსელში 1914 წლის 29 ივლისს დადგენილ იქნა ვენაში დანიშნული მორიგი საერთაშორისო სოციალისტური სიეზდი პარიზში გადაეტანათ, მოეწვიათ იგი 9 აგვისტოს და პირველ კითხვათ დაეყენებინათ: „ომი და პროლეტარიატი“. ამავე დროს ცალკე პარტიები და ორგანიზაციები სცემდენ მანიფესტებს, მოწოდებებს და დადგენილებებს, აწყობდენ პროტესტის კრებებს და მიტინგებს ომის წინააღმდეგ (მეტადრე გერმანიაში, სადაც მთავრობამ ასეთი აგიტაციის ნება დართო) და ცდილობდენ შეთანხმება მოეხდინათ იმ ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს შორის, რომელთაც ომი ემუქრებოდა. მაგრამ ისტორიული ამბები უფრო სწრაფათ ხდებოდა, ვიდრე ოფიციალური პარტიების მოლაპარაკება: სანამ კონგრესი შეიკრიბებოდა, ომი უკვე გამოცხადდა. მთავრობამ ერთბაშად შესწყვიტა საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევა, პირველ ადგილზე წამოიჭრენ სამხედრო ძლიერების მქონე პირები და სოციალისტებიდან „სამშობლოს დაცვის სახელით“ სალდათი და ფული მოითხოვეს. და ოფიციალურმა პარტიებმაც ზურგი შეაქციეს თავის არა-ერთხელ მიღებულ დადგენილებებს, მოუწოდეს მუშებს მთელი ძალღონით დაეცვათ სამშობლო, დაუდასტურეს სამხედრო კრედიტები მთავრობას და— ესეც არ იკმარეს—მთელ რიგ ქვეყნებში თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს მთავრობაში მონაწილეობის მისაღებათ და იმპერიალისტებთან ომის პასუხისმგებლობის გასაზიარებლათ. ოფიციალურმა სოციალისტურმა პარტიებმა უარყვეს საერთაშორისო სოციალიზმის თვალსაზრისი და დადგენ წვრილბურჟუაზიული პატრიოტიზმის ნიადაგზე და ამით ხაზი გაუსვეს, რომ ისინი თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის ინტერესებთან უფრო მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი, ვიდრე სხვა ქვეყნების მუშათა მასის ინტერესებთან. მუშათა საერთაშორისო სოციალისტურმა ორგანიზაციამ — მეორე ინტერნაციონალმა—კარახი განიცადა და დაკარგა თავისი არსებობის ყოველივე აზრი.

მაგრამ ოფიციალურ პარტიებში არსებობდენ მიმდინარეობები, რომლებიც არ იზიარებდენ მუშათა მოძრაობის გაბურჟუებულ წინამძღოლთა პოლიტიკას. იყო ჯგუფები, რომლებიც ბევრ რამეში არ ეთანხმებოდენ ამ პოლიტიკას, და ისეთი ჯგუფებიც იყო (მართალია პირველათ ძალიან მცირე-რიცხოვანი), რომელნიც ცხარე პროტესტს აცხადებდენ პროლეტარიატის საერთაშორისო პოლიტიკის გამცემლობის წინააღმდეგ. ასეთ პოზიციას ერთბაშათ დაადგა რუსეთის ბალშევიკების პარტია, ნაწილი იტალიელებისა, ბოლგარებისა, ზოგიერთ ნეიტრალურ ქვეყნების პარტიები და კარლ ლიბკნეხტი, რომლის სახელი ან ახალი მოძრაობის დროშათ გადაიქცა. ომის მეორე დღესვე ცხოვლათ იჩინა თავი შეთანხმების მოთხოვნილებამ იმ მიმდინარეობათა შორის, რომელნიც ერთგულათ შერჩენ ინტერნაციონალის თვალსაზრისს, და რომელთაც არ უარყვეს მისი დადგენილებანი. უკვე 1914 წლის სექტემბერში მოეწყო შვეიცარიულ იტალიური კონფერენცია, რომელმაც თავის რეზოლიუციაში ხაზი გაუსვა ომის წმინდა იმპერიალისტურ ხასიათს და გამოააშკარაა იმ პოლიტიკის ფარისევლობა, რომელსაც დროშაზე ეწერა „დაჩაგრულ ერების განთავისუფლება“. შვეიცარიის პარტიის გამგეობას მიენდო აღედგინა საერთაშორისო ურთიერთობა და მასთან მას უნდა გაეხსენებინა სხვა და სხვა პარტიებისათვის საერთაშორისო კონგრესების დადგენილებანი. მაგრამ ვერც ამ ცდამ, ვერც სოციალ-პატრიოტების მსგავსმა ცდამ, რომ როგორმე საერთაშორისო კავშირი აღედგინათ, ნაყოფი ვერ გამოიღო. აშკარა იყო, რომ შეთანხმებისთვის საჭიროა რაღაც ახალი ნიადაგი.

1915 წლის 11 ივლისს ბერნში (შვეიცარიაშია) შესდგა თათბირი სხვა და სხვა ეროვნების ინტერნაციონალისტთა ჯგუფისა, რომელზედაც გადაწყდა მოეწვიით იმ სოციალისტურ პარტიების და ჯგუფების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომლებიც უარყოფდენ სოციალ-პატრიოტების მიერ აღიარებულ „შინაური ზავის“ პრინციპს და დგანან კლასთა ბრძოლის თვალსაზრისზე. ამ კონფერენციის ძირითად საკითხად უნდა ყოფილიყო პროლეტარიატის პოლიტიკა ზავის მიღწევის მიზნით. არსებულ მდგომარეობის დროს აშკარა იყო, რომ თათბირზე ორგანიზაციების მცირე რიცხვი გამოცხადდებოდა და ეს ისეთი ორგანიზაციები იქნებოდენ, რომლებიც თავის ქვეყანაში უცირესობას შეადგენდენ.

კონფერენცია მოხდა ბერნის ახლო მდებარე პატარა ოფელ ციმერვალდში და გაგრძელდა 1915 წლის 5-დან 8 სექტემბრამდე. წარმოდგენილი იყო 11 ქვეყანა, რომლის დელეგატების ერთი ნაწილი დამოუკიდებელ პარტიებიდან იყვნენ გამოგზავნილი და სხვები კი ოფიციალური პარტიების ჯერ გამოუთიშვე-

უმცირესობიდან. გერმანიიდან 10 ედგატი იყო, მათ შორის ლედებურის ჯგუფი 6 კაცს შეიცავდა, ერთი იყო ლიბკნეხტის მომხრე და ერთი საშუალო ჯგუფი სამი კაცისაგან შემდგარი. საფრანგეთიდან იყო სინდიკალისტი ბურდერონი; იტალიიდან იყო 4 დელეგატი, მათ შორის ორი მემარცხენე რეფორმისტი; ბოლგარელი ტესნიაკი (მემარცხენე) კოლაროვი და რუმინელი რაკოვსკი; შვეციიდან და ნორვეგიიდან ხეგლუნდი და ნერმანი; ჰოლანდიიდან როლანდ-ჰოლსტი; პოლონეთიდან სოციალდემოკრატი ვარსკი (მთავარი გამგეობიდან) და რადეკი (ოპოზიციიდან) და პ. პ. ს.-დან ლაპინსკი (მემარცხენე ფრთის); შვეიცარიიდან გრიმი, ნენი და პლატენი; რუსეთიდან ბალშევიკები ლენინი და ზინოვიევი, მენშევიკები აქსელროდი და მარტოვი და ესერები ბაბროვი და გარდენინი; ლატვიიდან ვინტერი, და ბუნდიდან მხოლოთ „საინფორმაციო მიზნით“ კლემანსკი.

კონფერენციის შემადგენლობიდან გამოიყო მისი მემარცხენე ფრთა, რომელშიაც შევიდენ რუსეთის ორივე ბალშევიკი, შვეციის და ნორვეგიის წარმომადგენელნი, ლატიში, პოლონეთის სოციალ - დემოკრატიული ოპოზიცია და ლიბკნეხტის მომხრე. ამ შვიდი დელეგატისაგან შემდგარ ჯგუფს სხვა და სხვა კითხვებში ემხრობოდენ ჰოლანდიელი და შვეიცარიელების ნაწილი.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ იქმნა „საერთაშორისო სოციალისტთა კონფერენციის მანიფესტი ევროპის პროლეტარიატისადმი“, რომელშიაც ნათქვამია: „ჩვენ, რომელნიც შევიკრიბეთ არა გამყვლეფელ კლასებთან ნაციონალური სოლიდარობის დროშის ქვეშ, არამედ პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის და კლასთა ბრძოლის ნიადაგზე, იმ მიზნით, რომ აღდგენილ იქმნას გაწყვეტილი საერთაშორისო ურთიერთობა, მოვუწოდებთ მუშათა კლასს გონს მოვიდეს და დაიწყოს ბრძოლა ზავისათვის. ეს ბრძოლა იქნება ბრძოლა თავისუფლებისათვის, ხალხთა ძმობისათვის, სოციალიზმისათვის. უნდა აღვმართოთ ბრძოლა ზავისათვის, უანექსიო უკონტრიბუციო ზავისათვის. ეროვნულ თვითგამორკვევის უფლება უნდა შეენეს მტკიცე საფუძველი ნაციათა შორის ურთიერთობის მოწესრიგებისა“.

კონფერენციის დახურვის წინ დადგენილ იქნა შეედგინათ მუდმივი ინტერნაციონალური სოციალისტური კომი და მოეწყოთ დროებითი სეკრეტარიატ, რომლის სამყოფ ადგილათ დაინიშნ ბერნი.

ციმერვალდის კავშირს თანდათან მი ხრო პარტიების და ორგანიზაციებ მთელი რიგი: იტალიის სოციალ-დემ კრატიული პარტიები, შვეიცარიისა, რ მინიისა, რუსეთისა (ორივე ფრთა), პ ლონეთისა და ლიტვისა (ორივე ფრთ ბოლგარიისა (ტესნიაკები), პორტუ ლიისა, ლატვიისა, სერბიისა, გერმან სა (დამოუკიდებელნი), შვეციისა (მემ ცხენეები) და ფინლიანდიისა; შემდეგ ბრ ტანიის სოციალისტური პარტია, ინგლ სის დამოუკიდებელი მუშათა პარტ რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონ თა პარტია, ბუნდი, პ. პ. ს., ამერიკ სოციალისტური პარტია და ნემეცუ ჯგუფი, ამერიკის სოციალისტური მ შათა პარტია, სამხრეთ ამერიკის საერ თაშორისო სოციალისტური ლიგა, იტ ლიის საყოველთაო მუშათა ფედერაც ბოლგარიის პროფესიონალური შეკავ რება, გ ნიის სოციალისტ-ინტერ ციონალ , ბოლგარიის სოციალ დემოკრატ ული პარტიის უმცირესო აგრეთვე ახალგაზდობის სოციალ-დემ კრატიული კავშირები შვეციისა, ნ ვეგიისა, დანიისა და მადრიდისა.

იმავე დროს, როდესაც სულ ახა პარტიები ემატებოდა ციმერვალდს, წინააღმდეგ დაუზოგავ ბრძოლას აწ მოებდენ სოციალ-პატრიოტული პარტ ბი და მათი ცენტრი—საერთაშორ სოციალისტური ბიურო. მიუხედავ ერთმანეთისადმი დიდი მიძულვილ ორივე მებრძოლი ჯგუფის სოციალ- ტრიოტები გაერთიანდენ და შეთანხ ულად ახდენდენ თავზასხმას ციმერ ვალდელებზე, რომელთაც გაბედეს ში ური ზავის უარყოფა და ხელახლა ბრძ ლის განახლებისაკენ მოუწოდეს.

(დასასრული შემდეგ)

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.

დიდი ვანქის ქ. № 3. სტამბა ყოფ. „ეკონომია“